F 171
1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

7

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

 თბილისი—1971

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 4 ივნისის ბრძანება № 321

## შესრულების შემოწმების ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის მასალებით დადასტურებულია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე სადირექტივო ორგანოების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის მინდობილი საქმის მაღალხარისხოვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად ამისა, ადგილი აქვს უდისციპლინობისა და უპასუხისმგებლობის შემთხვევებს ზემდგომი ორგანოების დადგენილებების შესრულების საქმეში. ბევრგან არადამაკმაყოფილებელია კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, რაც ძირითადად იმის შედეგია, რომ ხელმძღვანელი მუშაკები ზოგჯერ საჭირო ყურადღებით არ ეკიდებიან ამ საქმეს. შესრულების მიმდინარეობის შესახებ საკითხები იშვიათად იხილება განათლების სამინისტროების კოლეგიების სხდომებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 19 მაისის № 92/2 დავალების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ ზემდგომი ორგანოების, სამინისტროს ბრძანებებისა და დადგენილებების სანუხრელად შესრულება. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მიღებულ გადაწყვეტილებათა და ცალკეულ დავალებათა შესრულების მდგომარეობა და მიიღონ საჭირო ზომები.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსებმა პირადად უხელმძღვანელონ ზემდგომი ორგანოების დადგენილებების და განკარგულებების, სამინისტროს ბრძანების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებას, აამაღლონ მუშაკთა პასუხისმგებლობა ამ საქმეში;

საინსპექტორო მივლინების დროს შეამოწმონ ადგილზე დავალებათა შესრულების მიმდინარეობის მდგომარეობა და წარმოადგინონ სათანადო წინადადებანი განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად.

3. ვაფრთხილებ სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა უფროსებს, განათლების ადგილობრივ ორგანოთა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელს განამტკიცონ მუშაკთა შორის სახელმწიფოებრივი დისციპლინა, უზრუნველყონ დავალებების აუცილებელი შესრულება, მიიღონ ზომები იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც საჭირო მომთხოვნელობით არ ასრულებენ დავალებებს და სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მათზე მინდობილ საქმეს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 4 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ
## Министерства просвещения Грузинской ССР № 322 от 4 июня 1971 г.

## О результатах проверки учебно-воспитательной работы Ахалцихской 3-ей средней школы

Ознакомившись с материалами обследования учебно-воспитательной работы Ахалцихской 3-ей средней школы, отмечаю, что в работе школы имеются определенные достижения: удовлетворительно поставлено преподавание в начальных классах, ряд педагогов старших классов относятся к своим обязанностям с должной ответственностью и добиваются хороших результатов в работе (преподаватели: Сисакян—I класс; Косян—I класс, А. Манасян—II класс, А. Асланян—II класс, Г. Анджелян—подготовительный класс, М. Мецоян—III класс; преподаватели армянского языка и литературы—Е. Мутафян, М. Мкртычян, А. Торгомян, С. Погосян, А. Мовсесян; преподаватели физики и математики—М. Карслян, Т. Чолохян; преподаватель грузинского языка М. Джварадзе; преподаватели русского языка—К. Асланян, Г. Купалян; преподаватель истории—Г. Асатрян; преподаватели географии — А. Базоян, Г. Анджелян, преподаватель химии Э. Данелян и другие).

Однако в работе Ахалцихской 3-ей средней школы все еще имеют место ряд серъезных недостатков. В школе закон о всеобуче выполняется не полностью—за последние 3 года отсеялись по неуважительным причинам 11 детей и подростков школьного возраста (из общего числа учащихся 1589).

На уроках физики, химии и биологии недостаточно применяются имеющиеся наглядные пособия, вовсе не применяются технические средства обучения, что значительно снижает качество преподавания этих предметов. Отрицательно влияет на

преподавание физики и математики и то, что эти предметы преподаются одними и теми же преподавателями.

Не стоит на должной высоте преподавание немецкого языка. Несмотря на то, что учителя немецкого языка имеют соответствующий образовательный ценз, они, в основном, уроки ведут на родном или русском языке, что методически неправильно.

Также неудовлетворительно ведется трудовое обучение в тех классах, где работает преподаватель А. Байбуртян. В школе учебные мастерские еще недостаточно оборудованы.

П р и к а з ы в а ю

1. Докладную записку о результатах обследования учебно-воспитательной работы переслать в отдел народного образования Ахалцихского района.

2. Ахалцихскому РОНО (тов. Б. Ахвледиани):

а) обсудить на совете РОНО и принять соответствующие меры по изжитию имеющихся недостатков в работе Ахалцихской 3-ей средней школы, обратить при этом особое внимание на осуществление Закона о всеобуче;

б) о результатах рассмотрения докладной записки и о принятых мерах доложить Министерству просвещения Грузинской ССР к 25 июня с. г.

3. Управлению школ Министерства просвещения Грузинской ССР (А. Чхиквадзе) проконтролировать ход выполнения настоящего приказа.

**Основание:** постановление Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 26 марта 1971 года.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 7 ივნისის ბრძანება № 326

### საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისადმი აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსა და და მის ადგილობრივ ორგანოებს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში გარკვეულ წარმატებებთან ერთად აქვთ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანიც; ასე მაგალითად, მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკამ ვერ შეასრულა საღამოს სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის ჩაბმის სახალხო მეურნეობის გეგმა 19 სკოლის (140 კლასი, 2819 მოსწავლე) ნაცვლად, მუშაობდა 20 სკოლა (134 კლასი, 2617 მოსწავლე), ე. ი. გეგმა შესრულდა 92,8%-ით, და ეს მაშინ, როდესაც აჭარის ასს რესპუბლიკაში აღრიცხულია 3508 16—35 წლის ასაკის მომუშავე ახალგაზრდა, რომელთაც არა აქვთ 8-წლიანი და საშუალო განათლება. მიუხედავად ამგვარი მდგომარეობისა, ქ. ბათუმის მეზღვაურთა დაუსწრებელი სკოლის დირექციამ ადგილების უქონლობის მიზეზით უარი უთხრა მიღებაზე 237 მეზღვაურს. თავის მხრივ არც ქ. ბათუმის განათლების განყოფილებამ და არც თვით აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ არ მიღეს ზომები აღნიშნული კონტინგენტისათვის დამატებითი კლასების გასახსნელად.

მრავალ საჭირო ღონისძიებათა დასახვისა და გატარების მიუხედავად, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებში შექმნილ დოკუმენტებში (დადგენილებები, ბრძანებები და სხვ.) არაფერია ნათქვამი საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ახალი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით მუშაობის მიმდინარეობის შესახებ. არაა აღნიშნული, იცავენ თუ არა სკოლები და ცალკეული საგნების მასწავლებლები ახალ სასწავლო

გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის გრაფიკს, როგორ წარმოებს ჩათვლები, რა ღონისძიებანი ტარდება საღამოს სკოლის ახალი დებულებით გათვალისწინებულ სიახლეთა შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეული საგნების ზოგიერთი მასწავლებლის მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული ნაკლოვანებანი: ყველა მასწავლებელი გულმოდგინედ არ ემზადება გაკვეთილისათვის, დაბალ პედაგოგიურ-მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს, ვერ აინტერესებს ახალგაზრდებს სწავლით, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე.

ადგილი აქვს საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებათა დარღვევის შემთხვევებს.

არადამაკმაყოფილებელია მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის. დღემდე არ არის გათვალისწინებული საღამოს სკოლების მასწავლებელთა გადამზადება ახალი პროგრმების შესაბამისად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში.

სკოლების ხელმძღვანელები არასაკმაო დახმარებასა და კონტროლს ახორციელებენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ბრიგადის მოხსენებითი ბარათი „საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისადმი აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობის შემოწმების შესახებ“ გადაეგზავნოს აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად.

2. საღამოს სკოლების ახალი დებულების შესაბამისად, მიმდინარე წლის 1-ლი სექტემბრიდან გადაკეთდეს ქ. ბათუმის ქართული დაუსწრებელი საშუალო სკოლა ქ. ბათუმის საოლქო დაუსწრებელ საშუალო სკოლად, ქ. ბათუმის მეზღვაურთა დაუსწრებელი სკოლა კი—მეზღვაურთა რესპუბლიკურ საშუალო დაუსწრებელ სკოლად.

3. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ (ამხ. ა. ჯონუამ) და ქ. ფოთის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ა. ცხადაიამ), უზრუნველყონ 8 კლასისა და საშუალო განათლების

არმქონე მეზღვაურთა და თევზსარეწი მრეწველობის მუშაკთა სწავლებაში ჩაბმა ქ. ბათუმის მეზღვაურთა რესპუბლიკურ დაუსწრებელ სკოლაში.

4. მეთვალყურეობა ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს (ამხ. ვ. ჩინჩალაძეს).

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 4 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 14 ივნისის ბრძანება № 335

### მცირეკომპლექტიანი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ონისა და ცაგერის რაიონების მცირეკომპლექტიანი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ: მასწავლებელთა ერთი ნაწილი (პ. ფრუიძე, თ. შერაზადაშვილი, კ. კერესელიძე, ც. გოგრიჭიანი, ლ. მეტრეველი) წარმატებით ართმევს თავს კლასკომპლექტებთან მუშაობის სიძნელეებს, ცოდნის დონის ამაღლებას აღწევს ეფექტური მეთოდური ხერხების გამოყენებით. სკოლების ნაწილს აქვს სათანადო მატერიალური ბაზა; თვალსაჩინო-დიდაქტიკური ხელსაწყოები.

ამასთან, ვლინდება სერიოზული ნაკლოვანებანი. ცაგერის რაიონის ლედეშავის და დარჩვალის სკოლები მოთავსებულია შეუფერებელ სასკოლო შენობებში, სკოლების უმრავლესობას არ გააჩნია სასწავლო-დიდაქტიკური მასალები, შესაფერი დაფები, მერხები და სხვა ავეჯი. სუსტად ინერგება სწავლების ტექნიკური საშუალებანი. დაბალია გაკვეთილების მეთოდური დონე. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი საკმაოდ არ არის დაუფლებული ორ და მეტ კლასთან ერთდროულად მუშაობის ძირითად პედაგოგიურ პრინციპებსა და ორგანიზაციულ-მეთოდურ ხერხებს; სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის; გაკვეთილებს ატარებს უფერულად და მოსაწყენად; მიზნობრივი დამოუკიდებელი სამუშაოებით ვერ ტვირთავს თითოეულ კლასს (თ. თაგვაძე—ნაკიეთის 8-წლიანი სკოლა, ზ. ბერელიძე—საკაოს 8-წლიანი სკოლა, ა. მაჭარაშვილი—შარდომეთის დაწყებითი სკოლა, მ. ბერიშვილი—ბორცოს დაწყებითი სკოლა, ე. ჩარკვიანი—ნაკიეთის 8-წლიანი სკოლა, ლ. ჩაკვეტაძე—ბარდნალის საშუალო სკოლა, თ. ხეცურიანი—ქვედა ცაგერის დაწყებითი სკოლა). მცირეკომპლექტიანი

სკოლების მასწავლებლების ერთი ნაწილი 5—8 წელია არ გადამზადებულა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში.

ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ონისა და ცაგერის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ვ. მაისურაძე და კ. გოდოლაძე):

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები მცირეკომპლექტიანი სკოლების მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად;

ბ) უზრუნველყონ რაიონების მცირეკომპლექტიანი სკოლების მომარაგება სათანადო დახაზულობის დაფებით, მერხებითა და სხვა ავეჯით, სასწავლო-ტექნიკური აპარატურით (ფილმოსკოპი, ეპიდიასკოპი, მაგნიტოფონი და სხვა), სახატავი რვეულებით, ავტოკალმებით, ფერადი ფანქრებით და სხვა სასწავლო ნივთებით;

გ) სისტემატურად შეისწავლონ მცირეკომპლექტიანი სკოლების მასწავლებელთა მუშაობა და შედეგები განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე, მოაწყონ სემინარები მასწავლებელთათვის, უფრო ქმედითი გახადონ მეთოდგაერთიანებების საქმიანობა, მიაღწიონ, რომ ყველა მასწავლებელი საფუძვლიანად იცნობდეს ახალი პროგრამების შინაარსსა და ახლებურად სწავლების მეთოდებს.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზაარშვილი) გაითვალისწინოს მცირეკომპლექტიანი სკოლების ყველა მასწავლებლის გადამზადება.

3. პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძე):

ა) მეთოდურ განყოფილებასთან (ამხ. ვ. ცაავა) ერთად მიიღოს ზომები მცირეკომპლექტიანი სკოლების მასწავლებელთათვის მეთოდური ლიტერატურის მომზადებისა და გამოცემისათვის;

ბ) შეიმუშაოს და გამოაქვეყნოს მომავალი რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური კითხვისათვის სანიმუშო თემატიკა მცირეკომპლექტიანი სკოლების მუშაობის საკითხებზე.

4. სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ 8-წლიანი და საშუალო სკოლების მიმაგრება დამოუკიდებელ დაწყებით სკოლებზე.

5. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, გ. საჯაია) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მცირეკომპლექტიან სკოლებში

მუშაობის მეთოდურ საკითხებს. სისტემატურად დაბეჭდონ მასალები მცირეკომპლექტიან სკოლებში მომუშავე მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებიდან, რთული პროგრამული საკითხების მეთოდური დამუშავება, თემატური გეგმები და ა. შ.

6. სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 11 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
**მინისტრი თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 18 ივნისის ბრძანება № 339

### ქ. რუსთავისა და საგარეჯოს რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ქ. რუსთავისა და საგარეჯოს რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში ამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება პედაგოგიურ-აღზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. ქ. რუსთავში სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტის გახსნამ და საგარეჯოს რაიონში მეთოდისტის შტატის შემოღებამ, სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე მათმა სისტემატურმა კონტროლმა და დახმარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეების გარკვეული ნაწილი პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობს ბავშვებთან სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, აღმზრდელების პედაგოგიური და პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებას, ტექნიკური პერსონალის საქმიანობას, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებას, ბავშვთა დღის რეჟიმის დაცვისა და ცხოვრების სწორ ორგანიზაციას (ლ. გოდერძიშვილი, ქ. დოლენჯაშვილი, ნ. გოდერძიშვილი, თ. ქირია, გ. ცინცაძე, ა. არაბიძე, ვ. კალუსოვსკაია, ნ. ენუქიძე, საგარეჯოს № № 1, 3, გომბორის, ქ. რუსთავის № 4 საბავშვო ბაღები და ამავე ქალაქის № № 1, 21, 22 ბავა-ბაღები).

მაღალ პასუხისმგებლობას იჩენენ სამუშაო გეგმების შედგენასა და მეცადინეობების მომზადებულად და ხარისხიანად ჩატარების საქმეში აღმზრდელები რ. ქვლივიძე, მ. წერეთელი, მ. ნიკოლაიშვილი, ვ. ტაგკაევა (საგარეჯოს № 1, ქ. რუსთავის № № 4, 2, 23 საბავშვო ბაღები).

საგარეჯოს რაიონის გომბორის საბავშვო ბაღის მუსიკის ხელმძღვანელი ნ. სემიონოვა დიდ ყურადღებას აქცევს ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდას. მუსიკის მეცადინეობებზე სათანადო ყურადღებას უთმობს ბავშვთა მოძრაობების, საცეკვაო ილეთების სწორად და სიმღერების გამომეტყველებით შესრულებას.

აღმზრდელთა გარკვეული ნაწილი თავიანთ მუშაობაში სერიოზულ ადგილს უთმობს ბავშვთა ზნეობრივ აღზრდას. მშობლებთან მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა ქ. რუსთავის № 4 საბავშვო ბაღი. მშობელთათვის სტენდები საქმიანად და გემოვნებითაა გაფორმებული. ეწყობა მშობლებთან შეხვედრა, მათ მიერ პედაგოგიურ თემაზე წაკითხული ლიტერატურის საჯარო განხილვა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

დადებითთან ერთად შეინიშნება ნაკლოვანებებიც.

ზოგიერთი აღმზრდელის მიერ მეცადინეობების ჩატარების დროს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ადგილი აქვს მეთოდური ხასიათის დარღვევებს. აღმზრდელ მ. კვერაშვილს (საგარეჯოს № 1 საბავშვო ბაღი) მშობლიური ენის მეცადინეობაზე მხედველობიდან გამორჩა ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობა; იგი საკმაო ყუ-ყურადღებას არ აქცევს ბავშვების მკაფიო და სწორ მეტყველებას; დაბალ დონეზე ჩაატარა გეგმით გათვალისწინებული მუშაობა საგარეჯოს № 3 საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ვ. ოთარაშვილმა.

ნაკლოვანებებია მეორე ცვლის აღმზრდელების მუშაობაში; ზოგიერთი მათგანი წინასწარ არ ამზადებს მეცადინეობისათვის საჭირო მასალას და მოწყობილობებს (საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ი. ჩარბოდაშვილი). ამავე რაიონის ხაშმის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ნ. კონიაშვილი სათანადოდ არაა დაუფლებული „აღზრდის პროგრამას" და ვერ ერკვევა სკოლამდელ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საკითხებში.

ნაწილი გამგეებისა პასუხისმგებლობით არ ეკიდება წლიური სამუშაო გეგმის შედგენას, სისტემატურად არ ატარებს ღია მეცადინეობებს და არ აანალიზებს აღმზრდელების მიერ ჩატარებულ მეცადინეობებს (ლ. ცინცაძე, ს. ოთ. წიფურია—ქ. რუსთავის №№ 5, 26-ე ბაგა-ბაღები).

ქ. რუსთავის №№ 26, 23 ბაგა-ბაღებში დროულად არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული მითითებები; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღების ჯგუფების ოთახების გაფორმებას.

საგარეჯოს რაიონის ხაშმის საბავშვო ბაღში ყურადღება არ ექცევა მშობელთა კუთხის გაფორმებას და მის შევსებას ახალი მასალით. ზოგან არადამაკმაყოფილებელია ბავშვებისა და პედაგოგიური პერსონალის ჩაცმულობა—ამავე რაიონის პატარძეულის საბავშვო ბაღში ბავშვები ლურჯი წინსაფრებით, ხოლო აღმზრდელები ძველი საშინაო ფეხსაცმელებით არიან.

ქ. რუსთავის სკოლამდელ დაწესებულებებში სათანადოდ არაა მოგვარებული მცოცავი გრაფიკით მომუშავე მშობლებისათვის ჯგუფების ბავშვებით დაკომპლექტებისა და დილით ამ ბავშვების გამოცხადების საქმე.

ცუდ პირობებში უხდება მუშაობა საგარეჯოს რაიონის გომბორის საბავშვო ბაღს. კაპიტალური და მიმდინარე რემონტების ჩატარებას საჭიროებს ქ. რუსთავის №№ 5, 26 ბაგა-ბაღები (ძალზე დაზიანებულია სამხარეულოს იატაკი).

არასრულყოფილად მარაგდებიან სკოლამდელი დაწესებულებები პროდუქტებით. ხშირ შემთხვევაში ბავშვებს ერთი და იგივე სახის კერძები ეძლევათ. ადგილი აქვს საწყობიდან პროდუქტების მენიუ-მოთხოვნილების გარეშე გაცემას. საგარეჯოს რაიონის პატარძეულის საბავშვო ბაღში შემოწმების დღეს არ იყო შედგენილი მენიუ-მოთხოვნილება. ზოგჯერ უზუსტობაა გაცემულ პროდუქტსა და მენიუ-მოთხოვნილებას შორის (ქ. რუსთავის № 23 ბაგა-ბაღი). ნინოწმინდის საბავშვო ბაღში ხმარებაშია დაუნომრავი და ხელმოუწერელი მენიუ-მოთხოვნილება.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობა დაკომპლექტებულია გამოცდილი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე აღმზრდელებით, მაინც არის შემთხვევები, როცა აღმზრდელებად საშუალო და არასპეციალური განათლების მქონე პირები მუშაობენ: ქ. რუსთავის № 4 საბავშვო ბაღსა და № 23 ბაგა-ბაღში აღმზრდელის ნახევარ გაკვეთილზე დანიშნულია ა. ლომთათიძე (საშუალო განათლებით), ლ. ჩხიკვიშვილი (მეორე კურსის სტუდენტი), 26-ე ბაგა-ბაღში აღმზრდელის ნახევარ განაკვეთზე მუშაობს მეტალურგიული ტექნიკუმის კურსდამთავრებული ლ. ბერიძე და ამავე დროს იგი მეთეთრეულის მოვალეობასაც ასრულებს. ქ. რუსთავის ბაგა-ბაღებში არასწორადაა გამოყენებული სამხარეულოს შტატი—ოთხი ერთეუ-

ლის ნაცვლად მუშაობს სამი, ერთი შტატი გამოყენებულია საალ-
მზრდელო ჯგუფში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. რუსთავის და საგარეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლამდელ მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომ ამაღლებას და კერძოდ მათთვის სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა გაცნობას;

ბ) არსებითად გააუმჯობესონ სკოლამდელ მუშაკთა საარაიონო, საქალაქო მეთოდური გაერთიანებებისა და სექციების მუშაობა;

გ) მტკიცე ზედამხედველობა დააწესონ კადრების შერჩევასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეზე;

დ) დროულად განიხილონ და დანერგონ ცხოვრებაში განათლების სამინისტროსა და სხვა სადირექტივო ორგანოების დირექტივები და მითითებები;

ე) მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისათვის, არსებული შენობების რემონტისა და რეკონსტრუქციის ჩასატარებლად, მათი საჭირო დგამ-ავეჯით უზრუნველსაყოფად;

ვ) ხელი შეუწყონ საბავშვო ბაღების (ბაგა-ბაღების) მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი პროდუქტებით მოპარაგებას;

ზ) სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ აღნიშნული ბრძანება და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა ერთი თვის ვადაში შეისწავლონ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული განათლების სისტემისა და სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებებში ე. წ. მცოცავი გრაფიკით მომუშავე მშობელთა მოთხოვნილება და საჭიროების შემთხვევაში ახალი სასწავლო წლიდან შექმნან სათანადო ჯგუფები, ამ ჯგუფების დაკომპლექტება თავიდანვე აწარმოონ მხოლოდ მცოცავი გრაფიკით მომუშავე მშობელთა შვილებით.

4. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის სწორად წარმოებისა და მეცადინეობების მაღალ მეთოდურ დონეზე ჩატარების მიზნით გააძლიერონ დახმარება და კონტროლი აღმზრდელებისადმი;

ბ) შექმნან სათანადო გარემო ბავშვთა დღის რეჟიმის ზუსტად შესრულებისა და კვების ხარისხის ამაღლებისათვის;

გ) მეტი ყურადღება მიაქციონ ჯგუფის ოთახების გაფორმებას, პედაგოგიური, ტექნიკური პერსონალისა და ბავშვთა ჩაცმულობას, მშობლიური ენის, ბუნების, სათამაშო კუთხეების მოწყობის საქმეს.

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ს. უჩანეიშვილი) მ/წლის პირველ აგვისტომდე საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილებასთან ერთად (ამხ. ა. ელერდაშვილი) შეისწავლოს სოფ. გომბორში საბავშვო ბაღის მშენებლობის საკითხი და შედეგების შესახებ მომახსენოს.

6. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) ახალი სასწავლო წლიდან სკოლამდელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გაითვალისწინოს საგარეჯოს რაიონში სემინარის ჩატარება.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) დააწესოს ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 4 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

F 3575

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 18 ივნისის ბრძანება № 340

### თერჯოლის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ თერჯოლის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

აღმზრდელთა ერთი ნაწილი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს დაკისრებული საქმისადმი, არ მუშაობს თავის თავზე, არ იმაღლებს პედაგოგიურ და მეთოდურ კვალიფიკაციას, არ ემზადება მეცადინეობისათვის, რის გამოც მათ მიერ ჩატარებული მუშაობა დაბალი ხარისხის, უინტერესო და უფერულია (აღმზრდელები ო. ჯაფარიძე, ი. მაჭავარიანი—თერჯოლის ბაგა-ბაღი), აღმზრდელების გ. აბესაძის, ო. ჯაფარიძის, მ. პავლიაშვილის, ნ. კუტივაძისა და ვ. სანიკიძის სამუშაო გეგმები არაკონკრეტულია.

თერჯოლის ბაგა-ბაღში ყურადღება არ ექცევა ბავშვებში სათამაშოების ფრთხილად და ფაქიზად გამოყენების ჩვევების დანერგვას. ხმარებაშია დაზიანებული მანქანები, მოუწესრიგებელი და ჩაუცმელი თოჯინები. სათამაშოები ეროვნული და ბავშვთა ასაკისათვის შეუფერებელია, ბავშვებში არაა გამომუშავებული შრომითი ჩვევები.

რაიონის სამივე სკოლამდელ დაწესებულებაში დაბალ დონეზე დგას ესთეტიკური აღზრდა. სათანადო ყურადღება არ ექცევა შენობისა და ჯგუფის ოთახების ლამაზად და გემოვნებით გაფორმებას. ოთახის ყვავილები ბუნების ყუთებშია მოთავსებული. კეთილმოუწყობელია ეზოები, არასაკმაო რაოდენობით აქვთ რბილი და მაგარი ინვენტარი.

არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა კვება. სისტემატურად ვერ ღებულობენ ხორცს, ბოსტნეულს, ხილს. ცუდი მდგომარეობაა თერჯოლის ბაგა-ბაღში. ცხელი საუზმისა და დაკეპილი ხორცის გაცემა ბავშვებზე იშვიათობას წარმოადგენს. ბაგისა და ბაღის ასაკის ბავშვებს ერთნაირი კერძები ეძლევათ.

სკოლამდელ დაწესებულებებში კადრის შერჩევა არასწორად ხდება: ტყიბულჭესის საბავშვო ბაღში აღმზრდელად სტუდენტი მუშაობს. თერჯოლის ბაგა-ბაღში უხეშად ირღვევა საშტატო დისციპლინა. სამნეო ნაწილის გამგედ მუშაობს მამაკაცი (მ. ლილუაშვილი), რომელიც ამავე დროს სხვისი გვარით (თ. ბოჭოიძე) გაფორმებულია ბაგის ჯგუფის ძიძა-სანიტრად, მოვალეობას არ ასრულებს და ხელფასს ღებულობს. ამის გამო, ბაგის ასაკის ბავშვები მოკლებული არიან ძიძა-სანიტრის მოვლა-პატრონობას. ბაგა-ბაღის გამგეს ნ. ბაკარიძეს ამ ფაქტის შესახებ განათლების სამინისტროსათვის არ უცნობებია.

სუსტია განათლების განყოფილების გამგის ამხ. ს. გაბრიჩიძისა და სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტის ნ. გვენეტაძის დახმარება და ხელმძღვანელობა სკოლამდელი დაწესებულებებისადმი. ნ. გვენეტაძე ვერ ერკვევა სკოლამდელი აღზრდის მეთოდებსა და ხერხებში, ღრმად ვერ სწვდება სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობას.

უკანასკნელი ორი სამი წლის მანძილზე მშრომელთა დეპუტატების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტისა და განათლების სახალხო საბჭოს სხდომებზე სკოლამდელ დაწესებულებათა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხი არ განხილულა.

თერჯოლის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. ს. გაბრიჩიძე):

ა) მტკიცე კონტროლი დააწესოს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე, სათანადო დახმარება გაუწიოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად და მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად;

ბ) არ დაუშვას შეუფერებელი კადრის სკოლამდელ დაწესებულებებში გამოყენება;

გ) მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რათა ბავშვებს მიეცეთ სრულფასოვანი კვება. უზრუნველყოს მათი სათანადო პროდუქტებით მომარაგება.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) სათანადო ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ პედაგოგიურ და ტექნიკურ პერსონალს. სისტემატურად შეამოწმონ აღმზრდელობითი მუშაობა, დაესწრონ მეცადინეობებზე, გაუკეთონ სათანადო ანალიზი მათ მიერ ჩატარებულ მუშაობას და აამაღლონ სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა;

ბ) მკვეთრად გააუმჯობესონ კვების ხარისხი. არ დაუშვან ბაგისა და ბაღის ასაკის ბავშვებზე ერთანაირი კერძების გაცემა.

3. აღმზრდელ-მასწავლებლებმა:

ა) მეცადინეობები არ ჩაატარონ წინასწარ დაგეგმვისა და მომზადების გარეშე;

ბ) დანერგონ ბავშვებში შრომითი და სათამაშოებისადმი ფრთხილად და ფაქიზად დამოკიდებულების ჩვევები.

4. თერჯოლის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ს. გაბრიჩიძეს სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის, საშტატო დისციპლინის უხეშად დარღვევისა და შეუფერებელი კადრების დანიშვნისათვის გამოეცხადოს საყვედური. მასვე დაევალოს ახალი სასწავლო წლიდან სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტი ნ. გვენეტაძე გადაიყვანოს შესაფერის სამუშაოზე და ამ თანამდებობაზე შეარჩიოს უმაღლესი განათლებისა და სათანადო გამოცდილების მქონე პირი.

ბაგა-ბაღის სამნეო ნაწილის გამგე მ. ლილუაშვილი არსებული წესის დაცვით, გადაიყვანოს სხვა შესაფერ სამუშაოზე.

აღნიშნული ბრძანება და შემოწმების მასალები განიხილოს განათლების სახალხო საბჭოს სხდომაზე და მის მიერ გატარებული ზომების შესახებ არა უგვიანეს მ/წლის პირველი ნოემბრისა აცნობოს განათლების სამინისტროს.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ბაგა-ბაღის გამგეს ნ. მაკარიძეს ბაგა-ბაღის მუშაობაზე სუსტი კონტროლისა და საშტატო დისციპლინის უხეში დარღვევისათვის თერჯოლის რაიაღმასკომის მიერ გამოცხადებული აქვს საყვედური, ხოლო ბაგა-ბაღის ძიძა—სანიტარი (მამაკაცი) განთავისუფლებულია სამუშაოდან.

6. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ გრძანების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 18 ივნისის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 25 ივნისის ბრძანება № 348

**რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების თაობაზე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1971 წლის 1-ლი აპრილის № 5/3 დადგენილებისა და განათლების სამინისტროს 1971 წლის 19 მაისის № 295 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

შემოწმებამ ცხადყო, რომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის 1971 წლის 1-ლი აპრილის № 5/3 დადგენილების—„რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების შესახებ" და ამავე საკითხზე განათლების მინისტრის 1971 19 მაისის № 295 ბრძანების შესასრულებლად რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში გარკვეული ღონისძიებები ტარდება.

სკოლა-ინტერნატებში საქმიანადაა განხილული ზემოაღნიშნული დოკუმენტები. მეტი ყურადღება ექცევა სკოლა-იატერნატების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების გაუმჯობესების, სასურსათო პროდუქტების სრულად მომარაგების საკითხებს. მიღებულია ზომები 1971—1972 სასწავლო წლის აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად. რესპუბლიკურ პრესაში უკვე გამოქვეყნდა დასახელებულ დაწესებულებაში აღსაზრდელთა მიღების პირობები. მთელ რიგ სკოლა-ინტერნატებში ამაღლდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. განმტკიცდა აღმზრდელ-მასწავლებლებისა და ტექნიკური პერსონალისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი.

მიუხედავად აღნიშნულისა, უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსა და საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების მიერ ლანჩხუთის, ლაჯანურის, მახარაძის, გლდანის № 1 და 2 სპორტული, თბილისის

ყრუ-ბავშვთა, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ლენტეხის, ბროწეულას, თბილისის 8-წლიანი და სხვა სკოლა-ინტერნატის მუშაობის შესწავლამ დაგვანახა, რომ ზოგიერთი მათგანის სასწავლო-საალმზრდელო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში კვლავ შეიმჩნევა სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი და დარღვევები.

ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი მ. ჩიტიძე) 1970 წელს აღსაზრდელთა დაბადების დღეების აღსანიშნავად დახარჯულია 1685 მანეთი. საანგარიშო წლის პერიოდში გათვალისწინებული პროდუქტებიდან ინტერნატს აუთვისებელი დარჩა: 4583 კგ კარტოფილი, 1272 კგ ბოსტნეული, 17.700 ცალი კვერცხი, 532 კგ კამეტი და სხვ. ნორმით გათვალასწინებულ 20 დასახელების კვების პროდუქტებიდან სრულყოფილად მხოლოდ ორი დასახელების პროდუქტია ათვისებული. 1971 წლის აპრილში ფიქტიურად იქნა გაწერილი აღსაზრდელებზე 104 მანეთად და 30 კაპიკად ღირებული 580 კილოგრამი პური და 35 კგ მაკარონი. საწყობს დააკლდა 211,2 კგ ხახვი, 7,32 კგ ზეთი, 3 კგ ვერმიშელი, 4,2 კგ საქონლის ხორცის კონსერვი, 272 ცალი კვერცხი და სხვა. დანაკლისი პროდუქტების თანხა დალპობის შედეგად ჩამოწერილი კვების პროდუქტების ღირებულებასთან ერთად შეადგენს 614 მანეთსა და 8 კაპიკს. ამასთან, 1970 წლის 1-ლ იანვრიდან ინტერნატში გახარჯულია 1250 მანეთის ღირებული მედიკამენტი.

ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტების აუთვისებლობას აქვს ადგილი მახარაძისა და განთიადის № 2 სკოლა-ინტერნატებში (დირექტორები: უ. ჭეიშვილი, დ. ნარაკიძე).

ლენტეხის სკოლა-ინტერნატს (დირექტორი ვ. ხაბულიანი) კვების პროდუქტების საწყობის აღწერისას 23 დასახელების კვების პროდუქტებიდან 12 დასახელების პროდუქტზე დააკლდა 16 მან. 36 კაპ., ხოლო ნამეტი აღმოჩნდა ორი დასახელების პროდუქტზე 14 მან. და 72 კაპიკის ოდენობით.

ბროწეულასა და რუსთავის სკოლა-ინტერნატებმა (დირექტორები მ. ინასარიძე, ვ. პაიჭაძე) პირველ კვარტალში 21 დასახელების კვების პროდუქტებიდან სრულყოფილად აითვისეს ხუთი დასახელების პროდუქტი, ხოლო გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი რ. მოწონელიძე) სამი დასახელების პროდუქტი.

ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატმა (დირექტორი შ. ფირცხალავა) 1971 წლის პირველ კვარტალში ვერ აითვისა ნორმით გათვალისწინებული ხორბლის ფქვილი, ლობიო, ახალი რძე, ყველი, კვერცხი, კაკაო.

ლაჯანურის სკოლა-ინტერნატმა მიმდინარე წლის 1-ელ კვარტალში აღსაზრდელებს მისცა ნორმით გათვალისწინებული ხორცის მხოლოდ 67%, ხორბლის ფქვილის 66%, კარტოფილის 60%, ბოსტნეულის 10%, ახალი ხილის 3%, თევზის 13%, ახალი რძის 43%, ყველის 65%.

გლდანის № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატის სამზარეულოში მოუწყობელია სამაცივრო სისტემა, კვების პროდუქტებს საწყობიდან სამზარეულო ღებულობს დღეში 4-ჯერ, ნაცვლად ერთისა.

გლდანის № 2 სპორტულ სკოლა-ინტერნატში დღეში ერთი აღსაზრდელის კვებაზე 1 მან. და 41 კაპიკის ნაცვლად გახარჯულია 1 მან. და 39 კაპ.

ზოგჯერ სათანადო წესების დაცვით არ ხდება რბილი და მაგარი ინვენტარის შეძენა, აღრიცხვა და გამოყენება. ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატს სამინისტროს ბაზიდან 376 მანეთად შეძენილი 18 ცალი ფარდებიდან შეუკერია ქორეოგრაფიული წრის წევრებისათვის ფორმები, რომლებიც შემოსავალში არ არის აღებული.

ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ი. ხეთერელი) ექსპლოატაციაში მყოფი მაგარი ინვენტარი დაუნომრავია და საბუღალტრო დავთრებში გატარებულია საინვენტარო ნომრების გარეშე. ამავე ინტერნატში ზოგჯერ დარღვეულია თანამშრომელთა შორის შეთავსების წესები.

ლაჯანურის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი კ. ფრუიძე) ნაკლები ყურადღება ექცევა სანიტარიული პირობების დაცვას. საძინებელი კორპუსიდან გამოსული უსუფთაო წყლები ეზოში იღვრება. ავარიულ მდგომარეობაშია აბანო, ჭერი იშლება, იატაკი ამომტვრეულია, ონკანები და მილები დაჟანგული, სასადილოს იატაკი სინესტისაგან ჩამტვრეულია, სამზარეულოში არ აქვთ გამდინარე თბილი წყალი. სათანადო დონეზე არ დგას აღსაზრდელთა თვითმომსახურება: ოთახები დაულაგებელია. საძინებლებში აღსაზრდელები ლეიბის ქვეშ ინახავენ ნახმარ ტანსაცმელს და სხვა. რბილი ინვენტარი: ლეიბები, საბნები, ბალიშები და სხვა სიძველისაგან გაცვეთილია, მაგრამ სკოლა-ინტერნატის ხელმძღვა-

ნელობა არ ფიქრობს მის შეცვლაზე, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას ამის შესაძლებლობა გააჩნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერნატული ტიპის დაწესებულებათა ეოთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება კვების პროდუქტებით მომარაგებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოებას. მიუხედავად ეოაერთი გაფრთხილებისა, ისინი სავაჭრო მომმარაგებელ ორგანიზაციებს წინასწარ არ უდგენენ საჭირო განაცხადებს. ჩაისუბნის, ახმეტის, ინგირის, ლენტეხის, თბილისის № 1 და № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატებს, ასპინძისა და სამგორის საბავშვო სახლებს 1971 წლის პირველ კვარტალში კვების პროდუქტების ათვისების შესახებ ცნობები განათლების სამინისტროში წარმოდგენილი არ ჰქონდათ მაისის დამლევისათვის.

სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებული აქ დასახელებული და სხვა ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოცხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა.

ა) სისტემატურად შეამოწმონ სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა კვების მდგომარეობა და სასურსათო საქონლით მომარაგება. სავაჭრო ორგანიზაციების დახმარებით ოპერატიული ზომები მიიღონ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) არ დაუშვან სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა კვებისათვის განკუთვნილი თანხების დროულად დაუშვებლობისა და აუთვისებლობის არცერთი შემთხვევა;

გ) მეტი ყურადღება მიაქციონ სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს;

დ) სერიოზული ყურადღება დაუთმონ სკოლა-ინტერნატებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მოწესრიგებას. ჯანმრთელობის ორგანოებთან ერთად განახორციელონ კონტროლი აღსაზრდელების ფიზიკურ განვითარებაზე, მათ შრომით დატვირთვასა და დღის რეჟიმის შესრულებაზე.

1. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ საზოგადოებრივი კონტროლი აღსაზრდელთა კვებაზე. უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატების მომარაგება კვების პროდუქტებით დადგენილი ნორმების შესაბამისად;

ბ) სისტემატურად იზრუნონ აღსაზრდელების საყოფაცხოვრებო პირობების, სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვისა და სამედიცინო მომსახურეობის გასაუმჯობესებლად;

გ) მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლა-ინტერნატების დღის რეჟიმის დასაცავად, უზრუნველყონ აღსაზრდელთა შორის შეგნებული დისციპლინის დამყარება;

დ) გაატარონ ყველა ზომები აღსაზრდელთა შენახვის გადასახადი თანხების დავალიანების დროულად სალიკვიდაციოდ;

ე) დაუყოვნებლივ აღმოფხვრან სკოლა-ინტერნატების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და დარღვევები.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ:

ა) მშრომელთა დეპუტატების ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატის დირექტორს მ. ჩიტიძეს ხელფასის ფონდის გადახარჯვის, უკანონო ხარჯების გაწევისა და თანამშრომელთა საქმიანობაზე სათანადო კონტროლის გაუწევლობის გამო გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, თუმცა იგი ამ დარღვევისათვის მოხსნას იმსახურებს. სამეურნეო ნაწილის გამგეს ამხ. ვ. ურუშაძეს და მთავარ ბუღალტერ პ. ურუშაძეს კვების პროდუქტებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამო გამოეცხადათ სასტიკი საყვედური; მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისისა და რევიზიით გამოვლინებულ სხვა დარღვევათა გამო სკოლა-ინტერნატის შეფმზარეული დ. იმნაიშვილი და მზარეული გ. იმნაიშვილი რევიზიის პერიოდში დათხოვნილი იქნენ სამუშაოდან, ხოლო კვების პროდუქტების საწყობის გამგეს გ. სარჯველაძეს დაედო მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი;

ბ) მახარაძის სკოლა ინტერნატის დირექციამ შემოწმების პერიოდში სამზარეულოში ნამეტი პროდუქტის (1,3 კგ შაქარი, 0,6 კგ ბურღული) აღმოჩენისათვის სამუშაოდან გაათავისუფლა მზარეული ვ. გორდელაძე, ხოლო შეფმზარეულს ნ. ინგოროყვას გამოუცხადა სასტიკი საყვედური.

4. მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის ლაჯანურის სკოლა-ინტერნატის დირექტორს კ. ფრუიძეს გამოეცხადოს საყვედური.

5. ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტების არასრულყოფილად ათვისებისათვის აღინიშნოს ლენტეხისა და ფანთიადის № 2 სკოლა-ინტერნატების დირექტორების ე. ხაბულიანის და ნ. ნარაკიძის არასაკმაო მუშაობა.

6. დაევალოს ცაგერის რაიონის განათლების განყოფილებას (ამხ. კ. გოდოლაძე) რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენოს საკითხი ლაჯანურის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების შესახებ და მიღებულ ზომებზე აცნობოს განათლების სამინისტროს 1971 წლის 30 დეკემბრამდე.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის შესაბამის სამმართველოსთან ერთად წელიწადში არანაკლებ ორჯერ შეამოწმოს სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში აღსაზრდელთა კვების საკითხის მდგომარეობა და შედეგი მოახსენოს განათლების სამინისტროს კოლეგიას;

ბ) ა/წლის 1-ლი ივლისისათვის ამ საკითხზე მოამზადოს მოხსენებითი ბარათი საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში წარსადგენად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 18 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 25 ივნისის ბრძანება № 349

**რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 20 თებერვლის № 91 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ცხაკაიასა და ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატებში**

ავღნიშნავ, რომ ცხაკაიასა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. კ. შარტავა, ვ. როდონაია) სკოლა-ინტერნატების დირექტორებთან (ამხ. ამხ. ნ. ჭანტურია, შ. ფირცხალავა) ერთად გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 20 თებერვლის ბრძანების შესასრულებლად.

ცხაკაიასა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებების მიერ 1970-1971 სასწავლო წლის მეორე ნახევარში სკოლა-ინტერნატებში შემოწმებულია სასწავლო სააღმზრდელო მუშაობა და სამეურნეო-სიფინანსო საქმიანობა, საკითხი მოსმენილია აღმასკომის სხდომებზე, დასახულია სათანადო ღონისძიებანი გამოვლენებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მუშაობის გასაუმჯობესებლად.

შემოწმებულ სკოლა-ინტერნატებში მასწავლებელთა ერთი ნაწილი დაუფლებულია თავის საგანს და ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ი. ტყებუჩავა, ტ. ხურცილავა (ცხაკაიას სკოლა-ინტერნატი), თ. პაპავა, ე. კაკულია, ნ. ქუთელია (ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატი), მათემატიკის მასწავლებლები: ს. გაბელაია (ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატი), თ. ჯიჯელავა, ლ. სართანია (ცხაკაიას სკოლა-ინტერნატი), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: მ. ცარამუა (ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატი), რ. კვეკესკერი, ლ. წულაია, ვ. პაპასქირი (ცხაკაიას სკოლა-ინტერნატი),

ფიზიკის მასწავლებლები: თ. სალუქვაძე, თ. ჯანაშია (ცხაკაიას და ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატები), ისტორიის მასწავლებლები: თ. ჭანტურია, თ. რუსიშვილი, გ. მარშავა (ცხაკაიას სკოლა-ინტერნატი) მეთოდურად სწორად წარმართავენ გაკვეთილებს, სისტემატურად იმაღლებენ ცოდნის დონეს, სწავლებაში იყენებენ თვალსაჩინოებას, მოსწავლეებს აძლევენ მტკიცე და საფუძვლიან ცოდნას.

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სკოლა-ინტერნატებში პედაგოგიური საბჭოს მუშაობა. სხდომებზე განხილულია სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის, ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლის საკითხები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობის მასალების შესწავლის მდგომარეობა კლასებისა და საგნების მიხედვით, გამახვილებულია ყურადღება მოსწავლეთა ყოფაქცევის შეფასების ახალ წესებზე და სხვა.

სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული ორივე სკოლა-ინტერნატში ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე; ყურადღება ექცევა მეთოდურ მუშაობას. მოწყობილია მეთოდური კუთხე, სადაც მოთავსებულია მეთოდგაერთიანებისა და საგნობრივი წრეების მუშაობის, ღია გაკვეთილებისა და საკონტროლო წერების ჩატარების, ახალ პროგრამებზე გადასვლის გრაფიკები და სხვა.

აღმზრდელები სწორად ატარებენ დღის მეორე ნახევარში საშინაო დავალებებზე მუშაობას. ისინი იყენებენ სხვადასხვა მეთოდებსა და ხერხებს იმისათვის, რომ დანერგონ ბავშვებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები.

საჭირო ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. სკოლა-ინტერნატებში სისტემატურად ტარდება აღმზრდელობითი ხასიათის საუბრები, მოხსენებები, ლექციები, შეხვედრები გამოჩენილ პირებთან, მეგობრობის დილა-საღამოები და ა. შ.

სათანადო სიმაღლეზე დგას სკოლა-ინტერნატებში სამედიცინო მომსახურეობა. ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა პირად ჰიგიენას. ორივე სკოლა-ინტერნატში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კვების ბლოკის მუშაობა, საჭილების დამზადებისას ნორმით გათვალისწინებული კალორიულობა და რაოდენობა დაცულია.

მიუხედავად აღნიშნულისა, ცხაკაიასა და ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატებში არ არის შესრულებული სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმა. ცხაკაიას სკოლა-ინტერნატში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 375 აღსაზრდელისა, ირიცხება 335 აღსაზრდელი, ხოლო ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატში 240 აღსაზრდელის ნაცვლად – 203 აღსაზრდელი.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატის II კლასში (მასწ. მ. კვირტია), III კლასში (მასწ. ლ. კვარაცხელია), IV კლასში (მასწ. ე. ყალიჩავა), ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის IV კლასში (მასწ. ფ. კუპრეიშვილი). აღნიშნული მასწავლებლები რუსული ენის სუსტად ცოდნის გამო, ვერ აძლევენ მოსწავლეებს სათანადო ცოდნას, გაკვეთილებზე მოსწავლეებთან საუბრისას უშვებენ უხეშ ენობრივ შეცდომებს, არასრულყოფილად და შეცდომებით ადგენენ გაკვეთილების გეგმებს და სხვა.

ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატში მინიმალური პირობებიც კი არ არის შექმნილი აღსაზრდელთა შრომითი სწავლებისათვის; არ არის მოწყობილი სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები, რის გამო ამ საგნების სწავლება თეორიულ ხასიათს ატარებს. სკოლა-ინტერნატს არ გააჩნია სასწავლო მიწის ნაკვეთი.

ცხაკაიას სკოლა-ინტერნატში ნაკლები ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა პროფორიენტაციის საკითხებს, არასაკმაო რაოდენობით აქვთ სადურგლო და საზეინკლო იარაღ-ხელსაწყოები, და მასალები, არა აქვთ დასამზადებელი დეტალების ნიმუშები, არ არის მოწყობილი დღის სინათლე და სტელაჟები.

შევსებას მოითხოვს ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატის ფიზიკის კაბინეტი. არსებული ხელსაწყო-იარაღები ვერ აკმაყოფილებს საასკოლო ექსპერიმენტის მოთხოვნებს. ცხაკაიას სკოლა-ინერნატში შეუძლებელია ფრონტალური ლაბორატორიული სამუშაოების დიდი ნაწილის ჩატარება და სადემონსტრაციო ცდების ერთი ნაწილის ჩვენება.

ნაკლოვანებები შეინიშნება სააღმზრდელო მუშაობის დაგეგმვა-აღრიცხვის საქმეში. გეგმებს წინ არ უძღვის სააღმზრდელო

ჯგუფის მოკლე დახასიათება, არაა გათვალისწინებული აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი და სხვა.

მეტად სუსტია ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატის მატერიალური ბაზა. საძინებელი კორპუსი ვერ აკმაყოფილებს სანიტარული ნორმების მოთხოვნებს. პირველი სართული უვარგისია საცხოვრებლად. მოწყობილი არა აქვთ კანალიზაცია და ცენტრალური გათბობის სისტემა, ინტერნატს არ გააჩნია სპორტული დარბაზი, კლუბი, გასართობი და სათამაშო ოთახები და სხვა.

ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსის უკანა მხარე დღემდე შეულესავია, შეკეთებას მოითხოვს საძინებელ კორპუსში არსებულ საპირფარეშოებსა და პირსაბნებში ონკანები, საკმაო რაოდენობით არ გააჩნიათ სკამები, შესაცვლელია საბნები, ზოგიერთი სახის მაგარი ინვენტარი.

სკოლა-ინტერნატების სასადილოებში მაგიდები და სკამები არაა შერჩეული აღსაზრდელთა ასაკის მიხედვით.

შემოწმებული სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ცხაკაიასა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. კ. შარტავა, ვ. როდონაია):

ა) უზრუნველყონ სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლებას, გეგმაზომიერ გადასვლას ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე;

ბ) განამტკიცონ სკოლა-ინტერნატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შექმნან მათში სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები;

გ) გადამჭრელი ზომები მიიღონ სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული აღსაზრდელთა კონტინგენტის შესრულებისათვის;

დ) ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, არსებული წესის დაცვით, განიხილონ საკითხი ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე რუსული ენის მასწავლებელთათვის გაკვეთილების ჩამორთმევის შესახებ.

2. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა (ამხ. ამხ. ნ. ჭანტურია, შ. ფირცხალავა):

ა) უზრუნველყონ მასწავლებლების, აღმზრდელებისა და სკოლა-ინტერნატის ყველა მუშაკის მიერ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების ღრმად შესწავლა;

ბ) ამთავითვე გაშალონ მუშაობა 1971—1972 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად;

გ) შეიმუშაონ სკოლა-ინტერნატების კეთილმოწყობის, მათში ბავშვთა აღზრდის, კვების, დასვენების, მრავალმხრივი საალმზრდელო მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებელი ღონისძიებანი;

დ) საჭირო ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის საკითხებს;

ე) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული მასწავლებელი სათანადოდ ემზადებოდეს გაკვეთილებისათვის და მოსწავლეებს უნერგავდეს მტკიცე ცოდნას;

ვ) კვების ბლოკის მუშაობის მოწესრიგების მიზნით სასადილოებში მაგიდები და სკამები შეარჩიონ აღსაზრდელთა ასაკის მიხედვით;

ზ) 1971 წლის 30 დეკემბრამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აცნობონ ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

3. მასწავლებლებმა სისტემატურად იმუშაონ საკუთარი იდეურ-მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის შემდგომ ასამაღლებლად. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ყოველი გაკვეთილისათვის მომზადებას, მტკიცედ დანერგონ სწავლებაში თვალსაჩინოება, შეაჩვიონ მოსწავლეები წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას.

4. აღმზრდელებმა მეტი ყურადღება მიაქციონ დღის მეორე ნახევარში საშინაო დავალებებზე აღსაზრდელთა მუშაობას; სამუშაო გეგმების შედგენისას გაითვალისწინონ აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი. მეტად დაიორგანიზონ ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და ურთიერთშემოწმების მეთოდი. იზრუნონ აღსაზრდელებში თვითშემოწმების ჩვევების დანერგვაზე.

5. ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებამ და სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ყველა ზომა მიიღონ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე საძინებელი კორპუსის უკანა ფასადის შელესვის დასამთავრებლად და სკოლა-ინტერნატის საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველსაყოფად.

6. ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილებამ დააყენოს საკითხი რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატის სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესების შესახებ.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. კანდელაკი):

ა) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას;

ბ) 1971 წლის 20 აგვისტოსათვის შეამოწმოს ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატის ახალი, 1971—1972 სასწავლო წლისათვის მზადყოფნის საკითხი და შედეგი მომახსენოს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 18 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 25 ივნისის ბრძანება № 352

### საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის 1971—1972 სასწავლო წლის გეგმაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ

საღამოს (ცვლის) სკოლების დებულების შესაბამისად საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის 1971—1672 სასწავლო წლის გეგმიურ მაჩვენებლებში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**1. დაიხუროს 1971 წლის 25 ივნისიდან:**

ა) საგარეჯოს რაიონის სოფ. გომბორის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა;

ბ) ცხინვალის რაიონის სოფ. დამპალეთის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლა;

გ) ქ. ფოთის დაუსწრებელი საშუალო სკოლა;

დ) გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოს დაუსწრებელი საშუალო სკოლა;

ე) მაიაკოვსკის დაუსწრებელი საშუალო სკოლა;

ვ) ჩოხატაურის დაუსწრებელი საშუალო სკოლა.

**2. გადაკეთდეს 1971 წლის 25 ივნისიდან:**

ა) ქ. სოხუმის დაუსწრებელი საშუალო სკოლა—ქ. სოხუმის საოლქო დაუსწრებელ საშუალო სკოლად;

ბ) გალის რაიონის სოფ. მზიურის დაუსწრებელი საშუალო სკოლა—ქ. სოხუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის გალის რაიონის სოფ. მზიურის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტად;

გ) ქ. ბათუმის დაუსწრებელი საშუალო სკოლა—ქ. ბათუმის საოლქო დაუსწრებელ საშუალო სკოლად;

დ) ქ. ბათუმის მეზღვაურთა დაუსწრებელი საშუალო სკოლა—ქ. ბათუმის რესპუბლიკურ დაუსწრებელ საშუალო სკოლად;

ე) ქ. ცხინვალის დაუსწრებელი საშუალო სკოლა—ქ. ცხინვალის საოლქო დაუსწრებელ საშუალო სკოლად;

ვ) ლენინგორის დაუსწრებელი საშუალო სკოლა ქ. ცხინვალის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტად;

ზ) ქ. თბილისის დაუსწრებელი საშუალო სკოლა—ქ. თბილისის რესპუბლიკურ დაუსწრებელ საშუალო სკოლად;

თ) ქ. ქუთაისის დაუსწრებელი საშუალო სკოლა—ქ. ქუთაისის საქალაქო დაუსწრებელ საშუალო სკოლად;

ი) ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის, მარნეულის რაიონის სოფ. კიზილაჯილოსა და წალკის დაუსწრებელი საშუალო სკოლები—ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებად.

3. ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მარნეულის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტს გამოეყოს ქ. თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის სოფ. წერეთლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი და იგი უშუალოდ დაექვემდებაროს რესპუბლიკურ დაუსწრებელ სკოლას.

4. ზესტაფონის, ლანჩხუთის, მახარაძის, სამტრედიისა და წულუკიძის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომების განათლების განყოფილებათა გამგეებმა უზრუნველყონ რაიონული დაუსწრებელი სკოლების კონტინგენტის გაზრდა 300 მოსწავლემდე, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ საოლქო დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი გაზარდონ თითოეულმა—600 მოსწავლემდე.

5. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საღამოს (ცვლის) სკოლების ქსელი და კონტინგენტი დაგეგმონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 25 თებერვლის № 136 ბრძანებით დამტკიცებულ საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დებულების შესაბამისად;

ბ) საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებშიც ირიცხება ქალაქებსა და მუშათა დაბებში 100-ზე ნაკლები, ხოლო სოფელ ადგილებში 80-ზე ნაკლები მოს-

წავლე, გადააკეთონ ცალკეულ კლასებად. ამ კლასებისადმი მეთოდური და სამეურნო ხელმძღვანელობა დაავალონ იმ საღამოს (ცვლის) ან მასობრივ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი შედიან.

6. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველოს ვავალებ კონტროლი განახორციელოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 25 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 28 ივნისის ბრძანება № 355

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების საქმეში თანაფარდობის დაცვის აუცილებლობის შესახებ

გავეცანი რა განათლების სამინისტროში არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს, აღვნიშნავ, რომ მიუხედავად უცხოური ენების სწავლების საქმეში კანონზომიერი თანაფარდობის დაცვის აუცილებლობის შესახებ სადირექტივო ორგანოების არაერთგზის მითითებისა, ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს დღემდე არა აქვთ გატარებული სათანადო ღონისძიებანი ამ საქმის მოსაგვარებლად.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით რესპუბლიკაში მოსწავლეთა 54,1% სწავლობს გერმანულ ენას, 32,8—ინგლისურს და 13,1%—ფრანგულს. მაგრამ ფაქტიურად გერმანული ენა ძირითადად ისწავლება სოფლის სკოლებში, ხოლო რაიონული ცენტრებისა და ქალაქების სკოლებში ჭარბობს ინგლისური ენა (ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონში—69,2%; კალინინის რაიონში—73,6%; ქ. გორში—70,1%; ქ. ზუგდიდში—68,8% და ა. შ.), გარდა ამისა, განსაკუთრებით ქალაქებში, ბოლო დროს შეინიშნება ინგლისური ენის სწავლების შემოღების ხარჯზე სკოლებიდან ფრანგული და გერმანული ენების განდევნის ტენდენცია.

არის რაიონებიც, რომელთა სკოლებში არა თუ მიახლოებითაც კი არ იცავენ აუცილებელ თანაფარდობას, არამედ ყველა სკოლაში გერმანული ენა ისწავლება (ბოგდანოვკა, ყაზბეგი). ახალციხის, ბორჯომის, ზუგდიდის, ლენტეხის, თეთრიწყაროს, ხობის, წალენჯიხის, წითელწყაროს, წულუკიძის და ჩხოროწყუს რაიონებში სრულიად არ ისწავლება ფრანგული ენა; საერთოდ ამ

ენას—ფრანგულ ენას რესპუბლიკის მოსწავლეთა ძალზე მცირე ნაწილი (სულ 13,1%) სწავლობს. კერძოდ, მოსწავლეთა დაუშვებლად მცირე რაოდენობა სწავლობს ფრანგულ ენას აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა (1,1%) და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (1,5%), ქალაქებში—გორსა (4,7%) და ზუგდიდში (2,6%), ახალქალაქის (0,9%), გეგეჭკორის (3,3%), ბოლნისის (7,1%); გორის (7,4%), ყვარლის (5,80%), მახარაძის (6,1%), ონის (4,3%), თელავის (2,9%), სიღნაღის (2,2%), ცაგერის (6,2%), წალკის (4,5%) და ცხაკაიას (6,1%) რაონებში. ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქ. თბილისშიც, განსაკუთრებით პირველი მაისის (10,9%), კალინინის (12,7%), 26 კომისრის სახელობის (13, 1%) რაიონებში. გარდა ამისა, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კიროვის, კალინინის, პირველი მაისის და 26 კომისრის სახელობის რაიონებში გერმანული და ფრანგული ენები ისწავლება ძირითადად რუსულ და სომხურ სკოლებში, ხოლო ორჯონიკიძის რაიონის ვაკის მიკრორაიონში განლაგებულ არცერთ ქართულ სკოლაში ფრანგული ენა არ ისწავლება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა (ამხ. ა. ნ. ჯონუა), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. გ. ი. ძაგოევი), ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. თ. ნ. ეგაძე), რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1971—1975 წლებში თანმიმდევრულად გაატარონ საჭირო ღონისძიებები (მასწავლებელთა შესაბამისი კადრების მოთხოვნა, ახლადგახსნილ სკოლებში ფრანგული ენის სწავლების შემოღება და სხვ.), რათა მიღწეული იქნეს უცხოური ენების სწავლებაში კანონზომიერი თანაფარდობა; აღნიშნული ღონისძიების განხორციელებისას მიზნად იქნეს დასახული რაიონში, ქალაქში სხვადასხვა უცხოური ენების სწავლების მიზანშეწონილად დისლოცირება.

2. ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. თ. ნ. ეგაძემ წარმოადგინოს წინადადება ერთ-ერთ ქართულ სკოლაში 1971—1972 სასწავლო წლიდან ესპანური ენის სწავლების შემოღების შესახებ. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ ესპანური ენის სპეციალისტები შერჩეულია და ამ ენის სწავლება სახელმძღვანელოებითაც უზრუნველყოფილი იქნება.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ე. ჩხიკვაძე) დააწესოს კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 18 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 6 ივლისის ბრძანება № 376

**წყალტუბოსა და ლენტეხის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა გაშვილების, პატრონირების, მეურვეობისა და მზრუნველობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ**

აღინიშნოს, რომ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შორის მუშაობის საქმეში წყალტუბოს რაიონის განათლების განყოფილებას სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული აქვს საკითხები უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შორის მუშაობის თაობაზე, შემოწმების შედეგებს იხილავს განათლების საბჭოს სხდომებზე, გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სახავს ღონისძიებებს და ა. შ.

1970 წლის 1-ელ იანვრიდან 1971 წლის 1-ელ იანვრამდე წყალტუბოს რაიონში გაშვილებულია 14 ბავშვი, ხოლო პატრონატზე იმყოფება 2 აღსაზრდელი. ამ ბავშვებზე შედგენილია პირადი საქმეები, ამასთან დროგამოშვებით მოწმდება მათი საყოფაცხოვრებო პირობები. რაიონში შემოღებული აქვთ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა სააღრიცხვო ჟურნალი, რომლის მიხედვით 1970 წლის დამლევს ასაკის შესრულების გამო მოხსნილია აღრიცხვიდან 9 ბავშვი. ზოგიერთი მათგანი სწავლას აგრძელებს ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო დანარჩენები მოწყობილნი არიან სამუშაოზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, წყალტუბოს რაიონს ამ საქმეში გააჩნია რიგი ნაკლოვანებანი. 1970 წლის ბიუჯეტით დახმარებისათვის გათვალისწინებული 400 მანეთიდან დახარჯულია მხოლოდ 165 მანეთი, ხოლო 1971 წლისათვის გათვალისწინებული 400 მანეთიდან 1-ელი მაისის მდგომარეობით გაცემულია მხოლოდ 40 მანეთი.

ზუსტად აღრიცხული არ არის უდედმამო ბავშვები, რომლებიც ირიცხებიან სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა

და სკოლამდელ დაწესებულებებში. მაგალითად, ბოლოწეულას სკოლა-ინტერნატში 6 ასეთი ბავშვი აღმოჩნდა.

ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ამხ. ე. შავრეშიანი) მთლიანად მივიწყებული აქვს უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შორის პატრონირების, გაშვილების, მეურვეობისა და მზრუნველობის საქმე.

განათლების განყოფილების მიერ რაიონის ტერიტორიაზე, სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში არ არის აღრიცხული უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და მოზარდები: ეს იმ დროს, როდესაც სახელდახელოდ ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით, მარტო ლენტეხის საშუალო სკოლაში და სკოლა-ინტერნატში აღმოჩნდა 7 უდედმამო ბავშვი. შემოღებული არ აქვთ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა სააღრიცხვო სპეციალური ჟურნალი, რომელიც მუდმივად უნდა ინახებოდეს განათლების განყოფილებაში, როგორც საარქივო დოკუმენტი.

განათლების განყოფილებას სამუშაო გეგმაში არ შეაქვს საკითხი რაიონში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, გაშვილებისა და მზრუნველობის დაწესების შესახებ.

განათლების განყოფილება უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე ბიუჯეტში გათვალისწინებულ დახმარების თანხებს აძლევს რაიონში ხელმოკლე ოჯახებს. მაგალითად, 1970 წელში ასეთი წესით გაცემულია 2400 მანეთი, ხოლო 1971 წლის დასაწყისიდან 32 ბავშვზე 2000 მანეთიდან 795 მანეთი.

ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილების მიერ არასწორად არის შევსებული რაიონში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე სტატისტიკური მასალა—ფორმა № 100, რომელიც მიღებულია განათლების სამინისტროში. ფორმაში ნაჩვენებია 32 ბავშვი, როგორც უდედმამონი, ფაქტიურად ეს ბავშვები არიან ხელმოკლე ოჯახებიდან.

ვ ბ რ ძ ა ნ ვ ბ

1. აღინიშნოს ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე დ. შავრეშიანი) და რაიონის სკოლების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და გაშვილების მოწესრიგების საქმეში.

2. ლენტეხისა და წყალტუბოს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. რ. შავრეშიანი, ი. მელაძე):

ა) ზუსტად აღრიცხონ რაიონის სოფლებში, სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და მოზარდები; უზრუნველყონ მათი პატრონირება, მეურვეობა, მზრუნველობა და შვილად აყვანა მოქმედი ინსტრუქციის ზუსტად დაცვით;

ბ) კვარტალურ სამუშაო გეგმებში სისტემატურად გაითვალისწინონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონატის, მეურვეობის, მზრუნველობისა და გაშვილების საკითხები. შემოწმების შედეგები განსახილველად შეიტანონ რაიალმასკომისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე;

გ) ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და გაშვილების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1969 წლის 31 მარტის № 186/193 ბრძანებით (კრებული № 5—6, 1969 წელი);

დ) ზუსტად შეავსონ ფორმა № 103 და უზრუნველყონ მათი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში დადგენილ ვადებში წარმოდგენა;

ე) არ დაუშვან უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებზე ბიუჯეტში გათვალისწინებული დახმარების თანხების სხვა დანიშნულებით გაცემა;

ვ) შემოიღონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა აღრიცხვის სპეციალური ჟურნალები და მუდმივად შეინახონ ისინი განყოფილებაში;

ზ) პატრონირებულ, გაშვილებულ, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ ბავშვებზე ცალ-ცალკე შეადგინონ პირადი საქმეები ყველა აუცილებელი საბუთით.

3. ლენტეხის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. რ. შავრეშიანი 1971 წლის 30 დეკემბრამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) კონტროლი დააწესოს ამ გრძანების შესრულებაზე;

ბ) 1972 წელს შეამოწმოს ამ გრძანების შესრულების მიმდინარეობა ლენტეხის რაიონში და შედეგები მომახსენოს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 15 ივლისის ბრძანება № 404

### ახმეტის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ ახმეტის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში გარკვეული ღონისძიებები ტარდება პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, კადრების სწორად შერჩევისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებანი.

ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბავშვთა ესთეტიკური აღზრდისათვის შესაფერისი გარემოს შექმნას. აღმზრდელთა ერთი ნაწილი ვერ ახერხებს ჯგუფების გაფორმებას თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისად (ახმეტის № 2 ბაგა-ბაღი), შენობაში სანიტარული წესების დაცვას (დუისის საბავშვო ბაღი). მოუწესრიგებელია ზოგიერთი ბავშვის ჩაცმულობა, ვარცხნილობა, პირადი ჰიგიენა (ახმეტის № 1, დუისის, ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღები).

ახმეტის № 1 ბაგა-ბაღსა და მატნის საბავშვო ბაღებში სუსტად არის დაყენებული მშობლებთან მუშაობა. სისტემატურად არ ტარდება მშობელთა კრებები, ინდივიდუალური საუბრები, დანიშნულებით არ არის გამოყენებული მშობელთა კუთხეები.

ნაკლოვანებებით ხასიათდება პედაგოგიური მუშაობა დუისის საბავშვო ბაღში. აღმზრდელებს საკმაო რაოდენობით არ გააჩნიათ დიდაქტიკური მასალა, სურათები თხრობისათვის, მხატვრული და მეთოდური ლიტერატურა.

ზოგჯერ იღლევა კადრების შერჩევა-დანიშვნის შესახებ არსებული წესი; ზემო ხოდიშნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ,

განათლების განყოფილებასთან შეთანხმების გარეშე, საბავშვო ბაღის გამგედ დანიშნა აგრონომი გ. ლეფსვერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად იმისა, რომ შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებებში თანამშრომლები არ არიან აყვანილი კვებაზე, ისინი მაინც უფასოდ სადილობენ საბავშვო ბაღში (ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღი).

ზოგიერთ ახალგახსნილ საბავშვო ბაღს არა აქვს პირველი მოთხოვნილების ინვენტარი; დუისის საბავშვო ბაღს არ აქვს სკამები. მსგავსი მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა სკოლამდელ დაწესებულებაშიც.

სკოლამდელი დაწესებულებები მოთავსებული არიან შეგუებულ შენობებში. მხოლოდ ახმეტის № 1 ბაღს უჭირავს ტიპობრივი პროექტის მიხედვით აგებული შენობა, მაგრამ აქაც მოუწესრიგებელია სველი წერტილები (ონკანები, სააბაზანო და პირსაბანი). შეუფერებელ შენობაში უხდება მუშაობა ახმეტის № 2 ბაგა-ბაღს. ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში არ ხერხდება ჯგუფების იზოლირება, ოთხი ჯგუფი ერთდროულად სადილობს ერთ ოთახში. შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა შენობებს ესაჭიროება კაპიტალური რემონტი.

ახმეტის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) მეტი ყურადღება მიაქციონ პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას;

ბ) სკოლამდელ დაწესებულებებში შექმნან ესთეტიკური აღზრდისათვის შესაფერისი გარემო (მოაწესრიგონ ბუნების, წიგნებისა და სათამაშო კუთხეები);

გ) დაიცვან შენობაში სანიტარულ-ჰიგიენური წესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა პირადი ჰიგიენის, ჩაცმულობისა და ვარცხნილობის მოწესრიგებას;

დ) გააძლიერონ მშობლებთან კავშირი და ჩააბან ისინი სკოლამდელ დაწესებულებათა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2. ახმეტის რაიონის განათლების განყოფილებამ იზრუნოს გამგეებისა და აღმზრდელების იდეური და პედაგოგიური კვალი-

ფიკაციის ამაღლებისათვის, სკოლამდელ დაწესებულებათა შენობების რემონტების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) შეძლებისდაგვარად მოამარაგოს ახალგახსნილი (შეგუებულ შენობებში) საბავშვო ბაღები შესაფერისი დგამ-ავეჯით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 9 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 16 ივლისის ბრძანება № 407

### ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სკოლა-ინტერნატის საქმიანობაში წინა წლებთან შედარებით მოპოვებულია ერთგვარი წარმატებები. ნაყოფიერად მუშაობენ დაწყებითი კლასების მასწავლებლები. დამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა III, V, VI და VIII კლასებში.

მასწავლებლები საკმაო ყურადღებას აქცევენ ბგერითი ენის სწავლებას. პირველი კლასიდანვე ტარდება ღონისძიებანი, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ტუჩებიდან ამოკითხვა და თავიანთი აზრების სიტყვებით გადმოცემა. სკოლა-ინტერნატში მუშაობს ენთუზიასტი მასწავლებელი ო. სირბილაძე, რომელიც თვითნაკეთი აპარატურის გამოყენებით ცდილობს განუვითაროს მოსწავლეებს მეტყველება.

პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილავენ სასწავლო ხასიათის საკითხებს და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სახავენ სათანადო ღონისძიებებს.

სკოლა-ინტერნატში დაცულია სისუფთავე, დამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება, კვება და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, სკოლა ინტერნატის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს. სკოლა-ინტერნატს არ გააჩნია მოსწავლეთა ნარჩენი სმენის განვითარებისათვის საჭირო აპარატურა, არ აქვთ როგორც საერთო ისე ინდივიდუალური სარგებლობის ხმის გამაძლიერებლები, ამიტომ მესამე და მეოთხე კატეგორიის ნარჩენი სმენის მქონე ბავშვებს სმენა უფრო [illegible]ჩლუნგდებათ. სკოლა ინტერნატს დღემდე არ

გააჩნია აუდიომეტრი, რის გამო არ ხდება ბავშვთა რეგულარული შესწავლა.

სკოლა-ინტერნატში მომუშავე მასწავლებელთა და აღმზრდელთა შემადგენლობიდან არცერთს არ გააჩნია დეფექტოლოგიური განათლება. შრომის მასწავლებლებად შერჩეულია დაბალი განათლების მქონე პირები.

სააღმზრდელო ჯგუფებში მომუშავე აღმზრდელთა სამუშაო საათები არასწორადაა განაწილებული. ყველა აღმზრდელი ერთდროულად იწყებს და ამთავრებს მუშაობას. სუსტია მასწავლებელთა და აღმზრდელთა შორის კავშირი. აღმზრდელთა სამუშაო გეგმები ერთფეროვანია. მათ არ გააჩნიათ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობის გეგმები და სხვ. ღია გაკვეთილის გეგმები არასწორადაა შედგენილი.

სკოლა-ინტერნატი ღარიბია მეთოდური ლიტერატურით, სახელმძღვანელოებითა და თვალსაჩინო მასალით. კედლებზე არ არის გამოკრული პლაკატები, ტაბულები, მოდელები, სურათები და სხვ. სკოლაში არ იგრძნობა სამეტყველო გარემოს არსებობა. ნაკლები ყურადღება ექცევა მეტყველების ტექნიკის გაკვეთილებს. მეტყველების ტექნიკისა და სასაუბრო მეტყველების გაკვეთილები ცხრილით არაა გათვალისწინებული და ეს საათები დათმობილი აქვს მშობლიური ენის სწავლებას.

სუსტია საშეფო ორგანიზაციის—ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის დახმარება. სკოლა-ინტერნატში არაა შექმნილი მზრუნველთა საბჭო და სხვ.

სკოლა-ინტერნატი განიცდის საცხოვრებელი და სასწავლო ფართობის სივიწროვეს, რის გამო ინტერნატს არა აქვს საშუალება მოაწყოს კაბინეტები. სუსტი მატერიალური ბაზის გამო კეთილმოუწყობელია სასწავლო სახელოსნოები, პიონერთა ოთახი, ბიბლიოთეკა, ჰიგიენის ოთახი და სხვ. სპორტული დარბაზის უქონლობის გამო ზამთრისა და ცუდი ამინდის პირობებში ფიზკულტურის გაკვეთილები და სპორტული ღონისძიებები არ ტარდება.

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. ვ. დევიძე).

ა) მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებით უზრუნველყოს მეტყველების ტექნიკისა და სასაუბრო მეტყველების სწავლების მკეთრად

გაუმჯობესება, ამასთან ფართოდ დანერგოს მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა;

ბ) მიიღოს საჭირო ზომები სმენის კაბინეტის შექმნისა და მისი სათანადო აპარატურით აღჭურვისათვის. ახლო მომავალში შეიძინოს აუდიომეტრი და მოსწავლეების ნარჩენი სმენა შეამოწმოს სასწავლო წლის დასაწყისსა და დამლევს;

გ) გაატაროს საჭირო ღონისძიება ინტერნატის თვალსაჩინო მასალითა და მეთოდური ლიტერატურით უზრუნველსაყოფად. ფართოდ დანერგოს მასწავლებელთა მიერ თვალსაჩინო მასალის დამზადების პრაქტიკა;

დ) გააუმჯობესოს მეთოდური მუშაობა, მასწავლებელთა და აღმზრდელთა შორის მტკიცე კონტაქტის დამყარება, ღია გაკვეთილების ხარისხი;

ე) არსებითად გააუმჯობესოს აღმზრდელთა მუშაობა და პრაქტიკაში დანერგოს აღმზრდელების განსხვავებულ საათებში სკოლა-ინტერნატში გამოცხადება და წასვლა;

ვ) იზრუნოს აღმზრდელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის, დეფექტოლოგიური განათლების არმქონე მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩასაბმელად;

ზ) სერიოზული ყურადღება დაუთმოს აღსაზრდელთა შრომით სწავლებას, სასწავლო-სახელოსნოების კეთილმოწყობასა და ხელსაწყო-იარაღებით უზრუნველყოფას. მოქმედი წესის დაცვით, გაათავისუფლოს დაბალი განათლებისა და სუსტად მომუშავე შრომის მასწავლებლები;

თ) გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლა-ინტერნატების მოსწავლეთა სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად;

ი) განიხილოს ეს ბრძანება უახლოეს პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, დასახოს ღონისძიებანი მასში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, და 1971 წლის 30 დეკემბრამდე განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს მოხსენებითი ბარათი ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების რესპუბლიკურმა სასწავლო-მეთოდკაბინეტმა (ამხ. მ. ყოლბაია) სისტემატური მეთოდური დახმარება გაუწიოს ქ. ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატს, მასწავლებელთათვის მოაწყოს თათბირ-სემინარი და სხვ.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ს. უჩანეიშვილი) შეისწავლოს ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის შენობის გაფართოების შესაძლებლობის საკითხი და დასკვნა ამ საკითხზე წარმომიდგინოს 1-ელ ოქტომბრამდე.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების საუმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) კონტროლი დააწესოს აღნიშნული ბრძანების ცხოვრებაში გატარებაზე;

ბ) 1972 წლის I კვარტალში მოახდინოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და შედეგები მომახსენოს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 9 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 16 ივლისის ბრძანება № 408

### რესპუბლიკის სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში შრომითი და საწარმოო მომზადების პროფილების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1970 წლის 4 დეკემბრის მითითებების შესასრულებლად და დაინტერესებულ საზოგადოებებთან შეთანხმების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რესპუბლიკის სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში დაწესდეს შრომითი და საწარმოო მომზადების შემდეგი პროფილები:

ა) თბილისის უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლა-ინტერნატში: ჯაგრისის, ლეიბისა და მუყაოს დამზადების;

ბ) თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში: სადურგლო, ჭრა-კერვისა და კერამიკული ნაწარმის დამზადების;

გ) ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში: ჭრა-კერვისა და ფეხსაცმელების დამზადების;

დ) თბილისის სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში: ჭრა-კერვისა და ფეხსაცმელების დამზადების;

ე) თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატში: სადურგლო, ჭრა-კერვისა და კერამიკული ნაწარმის დამზადების;

ვ) თბილისის № 2 დამხმარე სკოლა-ინტერნატში: სადურგლო, ჭრა-კერვისა და ფეხსაცმელების დამზადების;

ზ) ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატში: სადურგლო და ჭრა-კერვის;

თ) ჭიათურის დამხმარე სკოლა-ინტერნატში: სასოფლო-სამეურნეო შრომის (მებოსტნეობა, მეხილეობა), სადურგლო და ჭრა-კერვის;

ი) გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატში: სადურგლო, ჭრა-კერვის, ფეხსაცმელების დამზადებისა და სასოფლო სამეურნეო შრომის (მებოსტნეობა, მეხილეობა);

კ) კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატი: სადურგლო, ჭრა-კერვისა და სასოფლო-სამეურნეო შრომის (მებოსტნეობა, მეხილეობა);

ლ) მიუსერას დამხმარე სკოლა-ინტერნატში; სადურგლო და ჭრა-კერვის;

მ) სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატში: სადურგლო, ჭრა-კერვისა და ფეხსაცმელების დამზადების;

ნ) თბილისის № 1 დამხმარე სკოლაში: ჭრა-კერვის, სადურგლო და სამკინძაოს.

2. სპეციალური სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) მტკიცედ დაიცვან ამ ბრძანებით დაწესებული პროფილები და არ დაუშვან მათი შეცვლა, გაუქმება, ან ახლის შემოღება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე;

ბ) სისტემატურად იზრუნონ აღსაზრდელთა შორის შრომითი ჩვევების დანერგვისა და მათ მიერ შრომითი და საწარმოო პრო-პროფილების სრულყოფილად დაუფლებაზე;

გ) მეტი ყურადღება მიაქციონ სასწავლო სახელოსნოების მოწყობის, მათი სამუშაო ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით უზრუნველყოფის საქმეს;

დ) საზოგადოებებთან და წარმოება-დაწესებულებებთან მტკიცე კავშირის დამყარებით უზრუნველჰყონ კურსდამთავრებულ მოსწავლეთა სამუშაოზე მოწყობა;

ე) შრომის მასწავლებლის თანამდებობაზე შეარჩიონ და დასამტკიცებლად წამოაყენონ სათანადო ტექნიკური განათლებისა და პედაგოგიური გამოცდილების მქონე მუშაკები.

3. ჭიათურის, გუმათისა და კოხნარის დამხმარე სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა (ამხ. ამხ. შ. ბაზღაძე, ს. მოწონელიძე, ი. ცხოიძე) უზრუნველჰყონ 1971—1972 სასწავლო წლის 1-ელი სექტემბრიდან მათდამი დაქვემდებარებულ სკოლა-ინტერნატებში სასოფლო-სამეურნეო შრომის პროფილების შემოღება.

4. სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში ფეხსაცმელების დამზადების პროფილები ამიერიდან დარჩეს მხოლოდ სასწავლო მიზნით: ქ. თბილისის № 1 დამხმარე და ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნა-

ტებთან არსებული საწარმოო ხასიათის ფეხსაცმელების დამზადების საამქროები 1972 წლის 1-ელ იანვრიდან გაუქმდეს.

5. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. მ. ყოლბაია) თარგმნოს და სპეციალური სკოლა-ინტერნატები მოამარაგოს დასახელებული პროფილების პროგრამებით.

6. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე მოამარაგოს სპეციალური სკოლა-ინტერნატების სახელოსნოები საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და მასალებით.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას;

ბ) 1971 წლის დამლევამდე შეისწავლოს და წარმოადგინოს წინადადება 1972—1973 სასწავლო წლიდან ზოგიერთ დამხმარე სკოლა-ინტერნატში გაზრდილი პროფესიულ-შრომითი მომზადების მე-9 კლასების გახსნის შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 18 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ. 7 ივლისის ცირკულარული წერილი № 2—304

**აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს**

როგორც შემოწმებით ირკვევა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ინტერნატული ტიპისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებანი, აგრეთვე სასკოლო ინტერნატები სათანადოდ ვერ მარაგდებიან სასურსათო პროდუქტებით, ამასთან ხელმძღვანელები, რომელთა გამგებლობაშიც არიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებანი, სათანადო ყურადღებას ვერ აქცევენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს.

თქვენს ყურადღებას მივაპყრობ რა ზემოაღნიშნულზე, გავალებთ:

1. მკაცრი კონტროლი დააწესოთ ინტერნატულ და სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელთა კვებაზე.

2. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფმა დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა სავაჭრო ორგანიზაციებს წარუდგინონ ყოველთვიური განაცხადი სხვადასხვა სახის აუცილებელი რაოდენობის კვების პროდუქტების მარაგის შესაქმნელად; ამასთან მკაცრი კონტროლი დააწესონ გამოყოფილი ფონდების დროულად ათვისებაზე.

3. სისტემატურად შეისწავლოთ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, საბავშვო ბაღებისა და ბაგების, სასკოლო ინტერნატების კვების პროდუქტებით მომარაგების საკითხი და მიიღოთ გადამჭრელი ზომები ამ საქმეში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის
4 ივნისის დადგენილებით (ოქმი № 9)

# დებულება

## სალამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების სტაროსტატის (სამამასახლისოს) შესახებ

### 1. სტაროსტატის (სამამასახლისოს) მიზნები და ამოცანები

სტაროსტატის (სამამასახლისოს) მიზანია გააერთიანოს მოსწავლეები მეგობრულ, შრომისუნარიან კოლექტივად, რათა მან აქტიურად შეუწყოს ხელი სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტაში.

სტაროსტატის (სამამასახლისოს) ამოცანებია:

ა) სისტემატური დახმარება გაუწიოს სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს ყველა მოსწავლის აკადემიური წარმატების დონის ასამაღლებლად მიმართული ღონისძიებების გატარებაში, აღმზრდელობით მუშაობაში, დისციპლინის განმტკიცებაში, გაკვეთილებზე მოსწავლეთა ნორმალური დასწრების უზრუნველყოფაში, სკოლის დამთავრებამდე მათი შემადგენლობის შენარჩუნებაში;

ბ) მონაწილეობა მიიღოს სკოლაში კულტურულ-მასობრივ ღონისძიებების ჩატარებაში;

გ) სისტემატური კავშირი იქონიოს საწარმოო, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ცალკეულ მოსწავლეთა შრომასა და საყოფაცხორებო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

## II. კლასის სტაროსტის (მამასახლისის) მუშაობის ფორმები და შინაარსი

ყოველ კლასში მოსწავლეთა საერთო კრებაზე მთელი სასწავლო წლის ვადით ირჩევენ სტაროსტასა და მოადგილეს. არჩევნები ტარდება მეორე სასწავლო თვის პირველ ნახევარში.

**შენიშვნა:** არჩევნებამდე სტაროსტის მოვალეობას ასრულებს ერთ-ეთი მოსწავლე, რომელსაც კლასის ხელმძღვანელი დანიშნავს.

კლასის სტაროსტა (მამასახლისი) ასრულებს შემდეგ სამუშაოს:

ა) თვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ ასრულებს ყველა მოსწავლე სკოლაში დადგენილ განაწესს, ყურადღებას აქცევს სისუფთავესა და წესრიგს კლასში, კლასის ქონების დაცვას;

ბ) თვალყურს ადევნებს გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრებას, არკვევს გაცდენებისა და დაგვიანებების მიზეზებს და კლასის ხელმძღვანელთან ერთად ზომებს იღებს ამ მიზეზების აღმოსაფხვრელად:

გ) თვალყურს ადევნებს მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებას და მასწავლებლის ან კლასის ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით აწყობს ჩამორჩენილი ამხანაგებისადმი დახმარებას;

დ) ეხმარება კლასის ხელმძღვანელს სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის თავიდან ასაცილებლად ღონისძიებების გატარებაში;

ე) აწესებს კლასში მოსწავლეთა მორიგეობას;

ვ) კლასის ხელმძღვანელთან ერთად ატარებს კლასის კრებებს გაკვეთილებზე დასწრების, აკადემიური წარმატების, დისციპლინისა და სხვა საკითხებზე;

ზ) ეხმარება მასწავლებლებს გაკვეთილებისათვის საჭირო მოწყობილობისა და შესასწავლი თემის საილუსტრაციო მასალის მომზადებაში, აგრეთვე ქიმიაში, ფიზიკასა და ბიოლოგიაში პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებასა და ცდების დემონსტრაციაში;

თ) აწყობს კოლექტიურ სვლას კინოთეატრებში, თეატრებში, მუზეუმებში, მოხსენებების, ლექციების კოლექტიურ მოსმენას, თავისი კლასის მოსწავლეებს აბამს სხვადასხვა სასკოლო წრეში;

სტაროსტა მუშაობს გეგმის მიხედვით, რომელიც თვითეულ სემესტრში დგება.

მთელი ამ სამუშაოების შესრულებაში სტაროსტა აბამს კლასის მოსწავლეთა აქტივს, მათგან გამოჰყოფს პასუხისმგებელ პირებს სამუშაოების ცალკეული უბნებისათვის (კულტურულ-მასობრივი მუშაობა, მასწავლებლებისადმი დახმარება გაკვეთილისათვის საჭირო მოწყობილობის მომზადებაში და ა. შ).

სტაროსტა მუშაობს კლასის ხელმძღვანელისა და სტაროსტატის ხელმძღვანელობით; თავისი მუშაობის ანგარიშს აბარებს კლასსა და სტაროსტატს.

## III. სტაროსტატი (სამამასახლისო) და მისი მუშაობის შ ი ნ ა ა რ ს ი

სკოლის სტაროსტატი შედგება ყველა კლასის სტაროსტებისაგან. ყოველდღიური მუშაობის ჩასატარებლად სტაროსტატი თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და მდივანს სასწავლო წლის ვადით.

**შენიშვნა:** იმ სკოლებში, სადაც კლასების რაოდენობა ხუთს არ აღემატება, ირჩევენ მხოლოდ სტაროსტატის თავმჯდომარეს.

თავმჯდომარე და მისი მოადგილე ხელმძღვანელობენ სტაროსტატის მთელ მუშაობას. მდივანი ადგენს თათბირების ოქმებს, რომლებიც სკოლის საქმეებში ინახება და გადაეცემა სტაროსტატის ახალ შემადგენლობას. სტაროსტატი მუშაობს გეგმის მიხედვით, რომელიც დგება სასწავლო წლის ყოველი მეოთხედისათვის (კლასების სტაროსტატების გეგმათა შინაარსის გათვალისწინებით) და შეკიცდება სკოლის დირექტორის მიერ.

სტაროსტატი ანგარიშს აბარებს მოსწავლეთა საერთო კრებას და სკოლის დირექტორს.

**შენიშვნა:** სტაროსტატის (სამამასახლისოს) კრებაზე სკოლის დირექტორის ან სასწავლო მუშაობის დარგში მისი მოადგილის დასწრება აუცილებელია.

სტაროსტატის მოვალეობას შეადგენს:

ა) საუკეთესო დასწრებისათვის ბრძოლის ორგანიზაცია და ზომების მიღება სკოლიდან მოსწავლეთა გასვლის შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;

ბ) ღონისძიებათა გატარება აკადემიური წარმატების დონის ასამაღლებლად და ჩამორჩენილი მოსწავლეებისადმი დახმარების გასაწევად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) დისციპლინის დამრღვევი ცალკეული მოსწავლეების საქციელის განხილვა;

დ) სკოლაში მოსწავლეთა მორიგეობის ორგანიზაცია;

ე) მონაწილეობა პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზაციასა და ჩატარებაში;

ვ) დირექტორის მიწვევით პედაგოგიური საბჭოს სხდომებში მონაწილეობა ისეთი საკითხების განხილვისას, რომლებიც მოსწავლეებს ეხება.

სტაროსტატს უფლება აქვს სკოლის დირექტორის წინაშე წამოაყენოს თავისი წინადადებანი სკოლის მუშაობაში არსებული ამა თუ იმ ნაკლის გამოსასწორებლად.

## IV. სკოლის მოსწავლეთა საერთო კრება

სკოლის მოსწავლეთა საერთო კრებას იწვევს სკოლის დირექტორი ან მისი ნებართვით—სტაროსტატი (სამამასახლისო).

სკოლის მოსწავლეთა კრებაზე განიხილავენ სტაროსტატის მუშაობის ანგარიშს, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ცალკეულ საკითხებს, რომლებიც ყველა მოსწავლეს შეეხება.

კრება მოიწვევა ნახევარ წელიწადში ერთხელ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 321—შესრულების შემოწმების ორგანიზაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ . . . . . 3
2. Приказ № 322—О результатах проверки учебно-воспитательной работы Ахалцихской 3-ей средней школы . . . . . 5
3. ბრძანება № 326—საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისადმი აჭარის ასსრ განათლების სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 7
4. ბრძანება № 335—მცირეკომპლექტიანი სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 10
5. ბრძანება № 339—ქ. რუსთავისა და საგარეჯოს რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . 13
6. ბრძანება № 340—თერჯოლის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 18
7. ბრძანება № 348—რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების თაობაზე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1971 წლის 1-ლი აპრილის № 5/3 დადგენილებისა და განათლების სამინისტროს 1971 წლის № 295 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ . . . . . 22
8. ბრძანება № 349—რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წლის 20 თებერვლის № 91 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ცხაკაიასა და ჩხოროწყუს სკოლა-ინტერნატში . . 28
9. ბრძანება № 352—საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელისა და კონტინგენტის 1971—1972 სასწავლო წლის გეგმაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ . . . . . 34
10. ბრძანება № 355—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხოური ენების სწავლების საქმეში თანაფარდობის დაცვის აუცილებლობის შესახებ . . . . . 37
11. ბრძანება № 376—წყალტუბოსა და ლენტეხის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა გაშვილების, პატრონირების, მეურვეობისა და მზრუნველობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 40
12. ბრძანება № 404—ახმეტის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 44

13. ბრძანება № 407—ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 47
14. ბრძანება № 408—რესპუბლიკის სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში შრომითი და საწარმოო მომზადების პროფილების შესახებ . . . . . 51
15. ცირკულარული წერილი № 2—304 . . . . . 54
16. დებულება—საღამოს (ცვლის) დაუსწრებელი სკოლების სტაროსტატის (სამმასახლისოს) შესახებ . . . . . 56

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

**ფასი 14 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X-71 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4.

შეკვ. № 1257. უე—06155 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 12, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 12 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете
Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19